

სახელმძღვანელო საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ონლაინ და/ან შერეული სწავლების შემუშავებისა და შესრულების შესახებ

*ონლაინ და/ან შერეული სწავლისა და სწავლების  
შეფასების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო  
პრინციპები  
შეესაბამება ქართული უმაღლესი განათლების კონტექსტს*

დოკუმენტი მომზადდა EMWI/USAID-თან გაფორმებული ხელშეკრულებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით.

ავტორები: ფიონა კროზიერი და ანკა გრეერი

ჩაბარდა: 2020 წლის 30 ნოემბერს

## შემაჯამებელი მიმოხილვა

2020 წლის აგვისტოში საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (NCEQE) გამოაცხადა ტენდერი, რომელიც შეეხებოდა დახმარებას „ონლაინ და/ან შერეული სწავლებისა და სწავლის შეფასების კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეინარჩუნონ ონლაინ და/ან შერეული სწავლებისა და სწავლის ხარისხი პანდემიის შემდგომ პერიოდში და/ან მომდევნო სემესტრიდან სწავლის განახლებისას“.

ტენდერის დეტალებმა განსაზღვრა ჩვენი ანგარიშის მიმართულება და რეკომენდაციები: „შემუშავებული პროდუქტი უნდა... წარმოადგენდეს ექსპერტებისა და დაწესებულებების სახელმძღვანელო მითითებებს ინსტიტუციური სტრატეგიების შეფასების შესახებ, რათა ხელი შეუწყოს ინოვაციებს, ასევე, ონლაინ რეჟიმში სწავლასა და სწავლებას...“

COVID-19-ის პანდემიამ გამოწვევები შექმნა საზოგადოების ყველა დონეზე, მთელ მსოფლიოში. უმაღლესი განათლების სფერო საქართველოში ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლამ მაშინვე გააჩინა გამოწვევები და ეჭვები ონლაინ და შერეული სწავლების ხარისხთან დაკავშირებით.

აღნიშნული პროექტი, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა (EWMI) და USAID-ის მხარდაჭერით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ იყო ინიცირებული, დროული აღმოჩნდა; მომავალში უმაღლესი განათლება და ხარისხის უზრუნველყოფა ახალ კონტექსტში უნდა გადავიდეს, ხოლო ეს პროექტი საშუალებას იძლევა შევჩერდეთ და დავფიქრდეთ, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს მომავალი და რას მოგვითმის იგი. რა თქმა უნდა, როგორც უმაღლესი განათლება, ისე მისი ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რომ გაითვალისწინოს ეს ახალი კონტექსტი.

ამ ანგარიშში მოცემულია განხილვის შედეგები და პროექტის მიმდინარეობისას შეგროვებული ინფორმაცია. იგი იძლევა რეკომენდაციებს მთავარ დონეზე, ისევე როგორც საქართველოს ავტორიზაციის ეროვნული სტანდარტების დეტალების დონეზე. იგი ასევე გვთავაზობს შუალედურ ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოში ონლაინ/შერეული სწავლებისა და სწავლის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების ან კანონმდებლობის მიღებამდე უნდა იყოს გათვალისწინებული.

ამ ანგარიშის ავტორებს გვსურს, მაძღობა გადავუხადოთ ყველას, ვინც პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტს (EWMI)/ USAID-სა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, ინსტიტუციონალურ წარმომადგენლებსა და სტუდენტებს, რომლებმაც დაგვითმეს დრო საუბრისთვის და ღია, საინტერესო დებატებისთვის.

## პირველი ნაწილი

### 1.1. შესავალი

2020 წლის აგვისტოში საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გამოაცხადა ტენდერი, რომელიც შეეხებოდა დახმარებას „**ონლაინ და/ან შერეული სწავლებისა და სწავლის შეფასების კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში**, რომლებიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეინარჩუნონ **ონლაინ და/ან შერეული სწავლებისა და სწავლის ხარისხი** პანდემიის შემდგომ პერიოდში და/ან შემდეგი სემესტრიდან სწავლის განახლებისას“.

ტენდერის დეტალურმა განსაზღვრა ჩვენი ანგარიშის მიმართულება და რეკომენდაციები: „შემუშავებული პროდუქტი უნდა... წარმოადგენდეს ექსპერტებისა და დაწესებულებების სახელმძღვანელო მითითებებს ინსტიტუციური სტრატეგიების შეფასების შესახებ, რათა ხელი შეუწყოს ინოვაციებს, ასევე, **ონლაინ რეჟიმში სწავლასა და სწავლებას...**“

გამოცხადებულ ტენდერს დაემატა რეგულარული შეხვედრები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და მის პარტნიორ EWMI-სთან. პროექტის ორიენტირი იყო „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები“. მისი შედეგი უნდა ყოფილიყო ანგარიში, იმ რეკომენდაციებითა და რჩევებით, რომლებიც შემდგომში უნდა გაითვალისწინონ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, საქართველოს განათლების სამინისტრომ და საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორმა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს უსდ-ების პერსონალთა და სტუდენტთა ჯგუფების ფართო სპექტრთან, მათ შორის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფთან დისკუსიების შემდეგ, ეს ანგარიში გთავაზობთ რეკომენდაციებსა და რჩევებს ორ ნაწილად:

- ანგარიშის **პირველი ნაწილი** შეიცავს ყოვლისმომცველ რჩევებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც განკუთვნილია NCEQE-ს და სამინისტროსა და ინსტიტუციონალური მართვის გუნდებისთვის მხედველობაში მისაღებად;
- ანგარიშის **მეორე ნაწილი** შეიცავს უფრო დეტალურად გაწერილ რჩევებსა და რეკომენდაციებს ავტორიზაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

ყველა რეკომენდაციას აქვს ორმაგი მიმართულება - პროგრამის შესრულება და მისი შეფასება.

### 1.2. კონტექსტი

COVID-19-ის პანდემიამ გამოწვევები შექმნა საზოგადოების ყველა დონეზე, მთელ მსოფლიოში. უმაღლესი განათლების სფერო საქართველოში ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, სწავლების **ონლაინ რეჟიმზე** გადასვლამ მაშინვე წარმოქმნა გამოწვევები და ეჭვები **ონლაინ და შერეული სწავლების ხარისხთან** დაკავშირებით. იმ სისწრაფემ, რომლითაც უსდ-ები იძულებულნი გახდნენ ემოქმედათ, განაპირობა ნაკლებხელსაყრელი სიტუაცია, უმაღლესი განათლებისა და

დარეგისტრირებული სტუდენტების შეფასების უზრუნველყოფის გაგრძელების განსაკუთრებული საჭიროების გამო. ამ სიტუაციამ უნივერსიტეტებს არ მისცა შესაძლებლობა, გამოეყენებინათ სწავლების, სწავლისა და შეფასების განსხვავებული რეჟიმების პოტენციურად სასარგებლო მხარეები. გაურკვეველობა გრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ცოტა დროა იმაზე დასაფიქრებლად რაც მოხდა, ცოტა დროა იმისთვის, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უპირატესობები და გამოწვევები და სათანადოდ მოხდეს მომავლის დაგეგმვა.

დროული და მისასაღმებელია NCEQE-ს ინიციატივა, უმაღლესი განათლების სექტორი უზრუნველყოს სახელმძღვანელოთი. მისი განზრახვა, მხარი დაუჭიროს მომავალში ონლაინ და/ან შერეული სწავლისა და მისი ხარისხის უზრუნველყოფას, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორს სრულად გამოიყენოს კოვიდ-19 პანდემიის დროს აპრობირებული ინსტრუმენტები. ასევე, მის მზახვას უმაღლესი განათლების შემდგომი ფაზისთვის, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

ეს გლობალური კონტექსტი და თუ როგორ რეაგირებს მასზე უმაღლესი განათლება, მნიშვნელოვანია ორი მიმართულებით:

- 1) კოვიდ 19-ს უშუალო გავლენა აქვს უმაღლეს განათლებაზე, რამეთუ იძულებით გაიზარდა მოთხოვნა ონლაინ და შერეულ სწავლა-სწავლებაზე და ამას თავის მხრივ გავლენა აქვს ხარისხის ეროვნულ და ინსტიტუციონალურ კრიტერიუმებსა და სახელმძღვანელო პრინციპებზე.
- 2) იმავდროულად, არსებობს საერთაშორისო შეთანხმება, რომ არსებითად უცვლელი დარჩეს ის პრინციპები, რომელთაც უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ეყრდნობა; ამის ნაცვლად, ყურადღება უნდა დაეთმოს მათ გამოყენებას და იმას თუ როგორ ხდება პრინციპებთან შესაბამისობის მხარდამჭერი მტკიცებულებების მოძიება და უზრუნველყოფა.

ევროპაში არსებობს შეთანხმება, რომ ESG 2015 უზრუნველყოფს მყარ საფუძველს, რომელზეც უნდა აეგოს სახელმძღვანელო პრინციპები ონლაინ და შერეული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის და მხედველობაში უნდა მიიღოს თუ რა დამატებითი თუ განახლებული კრიტერიუმებია საჭირო. ეს შესაბამისობაშია ESG განაცხადთან, რომ მისი სტანდარტები ვრცელდება... „ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაზე სწავლის ფორმისა და განხორციელების ადგილის მიუხედავად“. (ESG 2015: *მოქმედების სფერო და ცნებები*).

უსდ-ები იძულებულნი იყვნენ მიმდინარე კრიზისზე ჰქონოდათ ნაჩქარევი რეაგირება, როგორც შესრულების ასევე ამ შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, არც ტექნოლოგია და არც ექსპერტიზა ჰქონდათ ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით სწრაფი და ეფექტური რეაგირებისთვის და ამ სიტუაციამ გავლენა მოახდინა როგორც შიდა ისე გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე. უახლოეს წარსულამდე, ონლაინ სწავლება წარმოადგენდა ვარიანტს ან არჩევანს, რომელსაც უსდ-ები და სტუდენტები თავად აკეთებდნენ (მაგალითად MOOC-ის დანერგვა). პანდემიამ დაგეგმვისა და შემუშავებისთვის დრო არ დატოვა; ნაცვლად ამისა, დაწესებულებები და მათი სტუდენტები ახალ სამყაროში მოხვდნენ და მოუწიათ შესაბამისად ადაპტირება. ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფამ მოკლე ვადაში განაგრძოს საქმიანობა. თუმცა, ახლა უკვე არის შესაძლებლობა, განვიხილოთ თუ როგორ

შეიძლება საერთაშორისო და ეროვნულმა სტანდარტებმა და კრიტერიუმებმა იმუშაონ საშუალოდან გრძელვადიან პერიოდში.

წინსვლასთან ერთად, უმაღლესი განათლება და ხარისხის უზრუნველყოფა ახალ კონტექსტში იფუნქციონირებენ და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ შევჩერდეთ და მომავალზე დავფიქრდეთ. ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა გაითვალისწინოს ეს ახალი კონტექსტი. სტანდარტებისა და სტუდენტთა გამოცდილების ხარისხის შენარჩუნება კვლავ ცენტრალური მნიშვნელობის იქნება, თუმცა შესაძლოა განსხვავებულად მოხდეს კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება იმის გათვალისწინებით, პროგრამა სრულად ონლაინ ისწავლება, შერეულად თუ პირისპირ.

იგივე ითქმის ხარისხის გარე უზრუნველყოფის (EQA) მეთოდოლოგიებზეც: ისინიც შესაძლოა განხორციელდეს სრულად ონლაინ რეჟიმში, შერეულად ან პირისპირ და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა სააგენტოები სხვადასხვა მიდგომებს გამოიყენებენ. კვლავ აუცილებელი იქნება, რომ ეროვნული კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები ავლენდნენ ESG-სთან შესაბამისობას, განურჩევლად იმისა თუ რა ეროვნული EQA მიდგომა და მეთოდოლოგია გამოიყენება.

შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს მაქსიმალურად უზრუნველყოს ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც სასარგებლო იქნება სწრაფად ცვალებად და არასტაბილურ გარემოში.

### 1.3. მოქმედების სფერო

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ წინამდებარე ანგარიშისა და მისი რეკომენდაციების მოქმედების სფერო მხოლოდ კოვიდ-19 პანდემიის უშუალო კონტექსტით არ შემოიფარგლება. იგი მიზნად ისახავს ჩამოთვლილ საკითხებზე რეკომენდაციებისა და რჩევების მიწოდებას:

1. რა შეიცვალა მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში?
2. რისი გაკეთებაა საჭირო მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში, რომ ა) თავი გავართვათ არსებულ სიტუაციას; ბ) შევინარჩუნოთ სწავლებისა და სწავლის მაღალი სტანდარტები და გ) გამოვნახოთ სარგებელი იმ პოტენციალიდან, რასაც უმაღლესი განათლების მიწოდების ახალი პარამეტრები გვთავაზობს?

ეს ანგარიში მიზნად ისახავს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში ცვლილების აღიარებას, იმის უზრუნველყოფით, რომ NCEQE-ს და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდეთ კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ჩარჩო, რომელიც გაუძლებს მომავალ გამოწვევებს და იქნება მდგრადი მათ მიმართ.

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს ყოვლისმომცველი რეკომენდაციებისა და ავტორიზაციის სტანდარტებისა და კრიტერიუმების რეკომენდებულ გაფართოებას, რომლებიც:

- ა) იქნება საკმარისად მოქნილი სხვადასხვა მიდგომით და სხვადასხვა გარემოებაში გამოსაყენებლად;
- ბ) უზრუნველყოფს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, წარმოაჩინონ თუ როგორ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, მიუხედავად სწავლებისადმი მათი ინსტიტუციური მიდგომისა ;
- გ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მომავალში მისცემს მოქნილობას, თუ ის დააპირებს შეიმუშაოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის (EQA) მეთოდოლოგია ინსტიტუციური შეფასებისთვის (შესაძლებელია ის იყოს შერეული/ჰიბრიდული ტიპის).

მოკლედ რომ ითქვას, ეს ანგარიში მიზნად ისახავს სტანდარტებზე, კრიტერიუმებსა და სახელმძღვანელო პრინციპებზე რეკომენდაციების მიწოდებას იმ უსდ-ებისთვის, რომლებიც აცნობიერებენ ცვლილებებს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან ჭრილში, იმ პირობით, რომ NCEQE-ს და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ჩარჩო, რომელიც გაუძლებს მომავალ გამოწვევებს და იქნება მდგრადი მათ მიმართ.

#### 1.4. მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის დასკვნების გამოსატანად გამოყენებული მეთოდოლოგიის ძირითადი ასპექტებია:

- დოკუმენტაციის განხილვა, მათ შორის NCEQE-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის, რომელმაც პროექტს პირდაპირ მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში ამჟამად არსებულ კონტექსტზე. ასევე საერთაშორისო გარემოს ფართო შესწავლა, რათა პროექტი ყოფილიყო ინფორმირებული ევროპული/გლობალური გადმოსახედიდან;
- მონაცემთა შეგროვება ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით, სადაც წარმოდგენილი იყვნენ მთავარი ქართველი დაინტერესებული მხარეები: სტუდენტები, სასწავლო პერსონალი, მართვის უფროსი პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი პერსონალი; შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მეშვეობით, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისგან. პროექტის მეშვეობით NCEQE-ს პერსონალთან მრავალჯერადი ურთიერთობით შესაძლებელი გახდა რელევანტური შესწორებების შეტანა.
- შედეგების ცხრილის გამოყენება მოხდა თითოეული ჯგუფისგან მოსმენილი კომენტარების ავტორიზაციის სტანდარტებთან ჯვარედინი დამოწმებისთვის.

#### 1.5. ძირითადი თემები

ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები ეყრდნობა საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროზე კოვიდ-19-ის გავლენების თაობაზე NCEQE-ს მიერ ჩატარებული შეფასების შესახებ არსებული ინფორმაციიდან და დოკუმენტაციიდან მოგროვილ ინფორმაციას და ასევე პროექტის მსვლელობისას ჩატარებული ოთხი ფოკუს ჯგუფის შედეგებს.

ინფორმაციის ამ ორივე წყარომ გამოავლინა დადებითი და უარყოფითი შედეგები 2019-20 წლის მეორე სემესტრში საგანგებო რეაგირების პერიოდიდან. ასევე მითითებულია 2020-21 წლის პირველ სემესტრში არსებული სტაგნაცია და აღნიშნულია თუ რა სახის მოქმედებაა საჭირო იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორმა შეძლოს გადადგას ნაბიჯი წინ - საშუალოვადიან და გრძელვადიან ჭრილში, დაგეგმილი, სტრატეგიული და ეფექტური გზით, რაც სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ უმაღლესი განათლების სექტორს, არამედ ფართო საზოგადოებასაც.

**კოვიდ- 19-ზე საგანგებო რეაგირების დადებითი შედეგები:**

- უმაღლესი განათლების მთელი სექტორის მასშტაბით გამოვლენილი სურვილი, ძალიან სწრაფად ჩაბმულიყვნენ სავსებით ახალ ვითარებაში, რომელიც საჭიროებდა პერსონალის უნარების სწრაფად განვითარებას, სტუდენტებისთვის განათლების მიწოდების შენარჩუნების მიზნით.
- კრიზისმა გამოავლინა პოტენციური მეტი საერთაშორისო განათლებისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია უფრო დიდი რაოდენობის პოტენციური სტუდენტებისთვის.
- სტუდენტებმა გააცნობიერეს აკადემიური პერსონალის მხრიდან წამოსული მხარდაჭერა და ძალისხმევა, მათ შორის იმათ მხრიდანაც, რომელთაც არ ჰქონდათ ონლაინ სწავლების გამოცდილება.
- პერსონალმა გააცნობიერა ის მხარდაჭერა და დახმარება, რომელიც მიიღო განათლების სამინისტროსგან და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან.
- ზოგიერთ შემთხვევაში, საგანგებო რეაგირება სასარგებლო აღმოჩნდა და შედეგად გამოიღო, მაგალითად, უკეთესი დასწრება და სტუდენტების ჩართულობა და უკეთესი სემესტრული ნაშრომები.

ყოველივე ამან შექმნა მყარი საფუძველი, რომელზეც უნდა დაშენდეს მდგრადი რეაგირება კრიზისზე და ასევე გამოიკვეთა მკაფიო მიმართულებები საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

**კოვიდ- 19-ზე საგანგებო რეაგირების უარყოფითი შედეგები:**

- სტრატეგიული ინიციატივებისა და დაგეგმვის ნაკლებობა ინსტიტუციონალურ დონეზე;
- პერსონალისთვის გაიზარდა სტრესისა და სამუშაო დატვირთვის დონე; ყოველივე ამას გავლენა აქვს მათ შესაძლებლობებზე, სრულყოფილად მიიღონ მონაწილეობა ტრენინგებსა და ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობაში.
- გავლენა მოახდინა იმ სასწავლო პროგრამებზე, რომლებიც ეფუძნება პრაქტიკულ/ლაბორატორიულ სწავლებას ან მოითხოვს კლინიკურ თუ სხვა სახის სწავლებას.
- გაჩნდა კვლევითი პროექტების გადახედვის საჭიროება ახალი გარემო-პირობების ფარგლებში.
- ონლაინ TLA-ს ხარისხის უზრუნველყოფა ამჟამად არ ხდება. გავლენა მოახდინა სწავლის შედეგების შეფასებასა და მიღწევაზე, მაგალითად, იმის გამო, რომ პროგრამები არ იყო შემუშავებული ონლაინ სწავლებისთვის.

## მთავარი თემების შეჯამება

როგორც ზემოთ არის აღწერილი, საგანგებო პერიოდის დადებითი და უარყოფითი შედეგები მიუთითებს მთელ რიგ გარემოებებზე, რომლებიც უკუკავშირის თანახმად, ახლა საჭიროებს გადაჭრას და გამოყენებას, იმისათვის რომ დაგეგმვის შემდგომ ეტაპზე გადასვლა იყოს შესაძლებელი. სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, საქართველოც გარუკვეველ მდგომარეობაში რჩება, როდესაც საქმე პანდემიას ეხება. ეს თავის მხრივ ძალიან ართულებს დაგეგმვასა და მოქმედებას, რადგან მუდმივად იარსებებს „მოლოდინის რეჟიმში“ ყოფნის ტენდენცია, იმ შემთხვევისთვის თუკი გამოჩნდება „ნორმალურ“ ცხოვრებაზე დაბრუნების შესაძლებლობა. თუმცა, ასეთი პოზიცია, არ იძლევა ბოლოდროინდელი სიტუაციიდან მიღებული დადებითი ასპექტების გამოყენების შესაძლებლობას; არც კონკრეტული დაგეგმარების საშუალებას იძლევა და ამგვარად ვაკუუმის შეგრძნებას ქმნის.

ამჟამად, საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორი იმყოფება ე.წ. „გარდამავალ ფაზაში“. პერსონალი და სტუდენტებიც შეეჩვივნენ ტექნოლოგიებს და კრიზისით გამოწვეული არაერთი პრობლემა გადალახეს. თუმცა, არსებობს საფრთხე, რომ კეთილგანწყობაზე ხანგრძლივად დაყრდნობით, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისა თუ დაგეგმვის გარეშე, შედეგად მივიღებთ გაურკვეველობას და გამოფიტვას, შესაძლებლობების სასიკეთოდ გამოყენების გარეშე.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ჩამოთვლილი თემებია წინა პლანზე წამოწეული:

- რომ ახლა ჩვენ ყველანი ვართ იმ წერტილში, სადაც არსებობს რეალური ცვლილებების შესაძლებლობა. კოვიდ -19 კატალიზატორი აღმოჩნდა იმისთვის, რომ არ შემოვიფარგლოთ საგანგებო რეაგირებით, გავითვალისწინოთ ეროვნული როლი უმაღლესი განათლებისთვის და ის თუ რა როლი უნდა ჰქონდეს უმაღლეს განათლებას მომავალში.
- რომ ეს არის უმაღლესი განათლების მომავალზე ნათლად დაფიქრების შესაძლებლობა.
- სტრატეგიულად აზროვნების ეს შესაძლებლობა შეცვლის ურთიერთობას უსდ-ებს, სამინისტროებსა და სააგენტოებს შორის. ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფას შორის კავშირების მნიშვნელობა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობების შემდგომი განვითარება (მათ შორის NCEQE) არ შეიძლება რომ სათანადოდ არ დავაფასოთ.
- ეროვნულ დონეზე სტრატეგიული მიმართულების მკაფიო იდეის არსებობა გადაწყვეტი მნიშვნელობისაა, რათა დეტალურად განისაზღვროს ის მხარდაჭერა და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც აუცილებელია ცვლილების მისაღწევად.
- დაინტერესებულ მხარეთა შორის ახალი ურთიერთობის ასეთმა განვითარებამ ბიძგი უნდა მისცეს ცვლილებას ეროვნულ, საკანონმდებლო დონეზე. ამის გარეშე, დაწესებულებებისთვის შეუძლებელი იქნება მათი პედაგოგიური სტრატეგიების შემუშავება.
- ერთი და იგივე მიდგომა უმაღლესი განათლების ყველა დაწესებულებისა თუ მათი ხარისხის უზრუნველყოფისათვის არ იმუშავებს. ერთ ყოვლისმომცველ



სტრუქტურაში ვერ გაერთიანდება ის პროგრამები, რომლებიც სწავლების პრაქტიკულ/ლაბორატორიულ/კლინიკურ ელემენტებს შეიცავს.

- საქართველოში ფეხის მოკიდება დაიწყო ონლაინ სწავლებამ და მისი ხარისხის უზრუნველყოფამ. განათლების გამოცდილების შეთავაზება კრიზისზე რეაგირებისას ძალიან შორსაა რეალური, დაგეგმილი, მოქნილი ონლაინ თუ შერეული სწავლებისგან.

## 1.6. ყოვლისმომცველი რეკომენდაციები

ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები შემუშავებულია იმ მიზნით, რომ დაეხმაროს განათლების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორს ზემოთ აღნიშნული ძირითადი თემების გადაწყვეტაში. ისინი შემუშავებულია გაუმჯობესების სულისკვეთებით და ყველა დაინტერესებული მხარისთვის ღიაა დისკუსიებისა და ცვლილებებისთვის, რათა ისინი მაქსიმალურად სასარგებლო და რელევანტური გახადონ ქართულ ეროვნულ კონტექსტში.

1. ჩვენი რეკომენდაციაა, შეიქმნას დისკუსიების ფორუმი მთავარი დაინტერესებული მხარეთა მონაწილეობით (განათლების სამინისტრო, დაწესებულებები და NCEQE), რათა მიაღწიონ შეთანხმებას საქართველოში უმაღლესი განათლების სტრატეგიულ მიმართულებაზე საშუალო და გრძელვადიანი მიზნებისთვის. დისკუსიების ფორუმმა უნდა განსაზღვროს ოფიციალური განრიგი თავისი დისკუსიებისა და გადაწყვეტილებების მიღებისთვის და ჰქონდეს სამოქმედო გეგმა, როგორც მიზანი, რომ განახორციელოს საკუთარი გადაწყვეტილებები.
2. ჩვენი რეკომენდაციაა, ამ დისკუსიებში ყველა სახის დაწესებულება იყოს ჩართული, რათა ხმა მიეცეთ იმ დაწესებულებებსაც, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს კლინიკურ, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სწავლებას.
3. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ პირველ რეკომენდაციაში გაწერილი დისკუსიების შედეგებმა, დაწესებულებებს მისცეს შესაძლებლობა ყურადღება გაამახვილონ ისეთ მხარდაჭერასა და განვითარებაზე, როგორც საჭიროა მომავალში მათი პროგრამების განხორციელებისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის. წინამდებარე დოკუმენტს შეუძლია ამ საქმიანობის მხარდაჭერა.
4. ჩვენი რეკომენდაციაა NCEQE-ს ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ დაიწყოს მისი ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცესების განახლება და შემუშავება ეროვნული სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტს შეუძლია ამ საქმიანობისთვის საფუძვლის შექმნა.
5. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ავტორიზაციის ამჟამინდელი სტანდარტების რეკომენდებული გაფართოება განხილულ იქნას, როგორც ონლაინ და/ან შერეული სწავლების მიწოდებისა და მისი ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო მხარდაჭერის, გადამზადებისა და განვითარების შესახებ მიღებული ნებისმიერი სამომავლო გადაწყვეტილების საწყის წერტილად.

## 1.7. შემოთავაზებული სარეალიზაციო საფეხურები

როგორც უმაღლესი განათლების ეროვნულ სტრატეგიაში ნებისმიერი ცვლილების შეტანისას, ონლაინ/შერეული სწავლების წახალისებაზე უეცარი გადასვლა, არასაკმარისი დაგეგმვის გარეშე, კონტრპროდუქტიული იქნება.

სანდო ციფრული განათლების ეკოსისტემა (როგორც ეროვნულ, ისე ინსტიტუციონალურ დონეზე) საჭიროებს კარგად შემუშავებულ და მაღალი ხარისხის კონტენტს, მომხმარებელზე მორგებულ ინსტრუმენტებს, დამატებით ღირებულების მქონე და დაცულ პლატფორმებს, რომლებიც ინახავენ პირად ინფორმაციას და იცავენ ეთიკის სტანდარტებს. იგი ასევე საჭიროებს უმაღლესი განათლების სისტემისა და მისი შედეგებისადმი უწყვეტ ეროვნულ და საჯარო ნდობას.

ქართული კონტექსტის შესაბამისად, რომელიც ახლა შერეული სწავლების საშუალებას იძლევა, თუმცა ამ რეჟიმით სწავლებაში მცირე შესაძლებლობებს გვთავაზობს, და წინამდებარე ანგარიშის პირველი რეკომენდაციის (ზემოთ ხსენებული) შესაბამისად, რისკების შეფასებისა და ხარისხის შენარჩუნების უზრუნველყოფის პროცესი განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნება განათლების სამინისტროსთვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და სტუდენტებისთვის. როგორც წინამდებარე ანგარიშშია ნათქვამი, ონლაინ და შერეული სწავლების დანერგვა შესაძლოა ავლენდეს როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს; მაგალითად, იგი შესაძლოა განვიხილოთ როგორც განათლებაზე წვდომის შესაძლებლობა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც არ ცხოვრობენ ახლოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. იგი ასევე ხელს უწყობს პროგრამებში საერთაშორისო წვლილის შეტანას. თუმცა, საქართველოში, კრიზისის დროს, ასევე შეინიშნება უთანასწორობისა და უმაღლესი განათლებიდან გამორიცხვის ზრდა. სოციალური განზომილება ბოლონის პროცესის ძირითადი ასპექტია და იგი EHEA-ს ყველა ქვეყანამ უნდა მიიღოს მხედველობაში.

შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშით რეკომენდებულია, რომ სანამ რაიმე კანონმდებლობას განვიხილავთ ან მიიღებთ ონლაინ/შერეული სწავლებისა და სწავლის შემდგომ განხილვასთან დაკავშირებით, მთელი რიგი საფეხურების მხედველობაში მიღება საჭირო განათლების სამინისტროს/მთავრობის მიერ, NCEQE-სთან და უმაღლესი განათლების სექტორთან თანამშრომლობით, იმისათვის, რომ შემცირდეს ნებისმიერი გარდაუვალი რისკი, განსაკუთრებით კი ისეთი, რომელიც განპირობებულია კოვიდ 19-ის პანდემიაზე საგანგებო რეაგირების შედეგად დამკვიდრებული ონლაინ სწავლებისადმი ცრუ კომფორტული/თავდაჯერებული განწყობით.

ეს საფეხურები შესაძლოა მოიცავდეს შემდგომს (სასურველია ამ თანმიმდევრობით):

- **საფეხური 1:** უნდა ჩატარდეს სხვადასხვა სცენარის (მაგალითად, ონლაინ, ჰიბრიდული სწავლებისას და ა.შ) რისკების შეფასება უმაღლესი განათლების მთელი სექტორის მასშტაბით, რათა გამოვლინდეს რეალური რისკი შესაძლო სარგებელთან მიმართებით და რათა შესაძლებელი იყოს რისკების შემამსუბუქებელი ფაქტორების სრული გათვალისწინება და იმის მხედველობაში მიღება, თუ რამდენად შრომატევადი იქნება ეს ყველაფერი.

- **საფეხური 2:** სანამ კანონმდებლობასთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებთ, რეკომენდებულია კვლევის ჩატარება ან გარემოს შესწავლა, რათა დარწმუნდეთ, რომ ქართველი სტუდენტებისა და დამსაქმებლების მხრიდან არსებობს ინტერესი ონლაინ/შერეული სწავლებისადმი და/ან რომ სწავლების ასეთი მეთოდი პასუხობს საჭიროებას, ავსებს სისტემაში არსებულ ხვრელს, რომელიც სხვაგვარად ვერ მოგვარდება ან რომ ონლაინ/შერეული სწავლება უფრო უკეთესი და ეფექტურია ამ მიზნებისთვის.
- **საფეხური 3:** საჭიროებათა/ინტერესების ნებისმიერ ანალიზს, თან უნდა ერთვოდეს ცნობიერების ამაღლებელი აქტივობები, რათა დარწმუნდეთ, რომ ინტერესის ნებისმიერი გამოხატვა, იყოს კარგად ინფორმირებული პოზიციის შედეგი. ამისათვის, პოტენციურ სტუდენტებს სრულყოფილად უნდა ესმოდეთ ასეთი სტრუქტურის დეტალები (უპირატესობები და ნაკლოვანებები) და დამსაქმებლები მომზადებული უნდა იყვნენ, რომ მიიღონ ამ მეთოდით ნასწავლი სტუდენტები, როგორც იმავე კომპეტენციის მქონე, როგორც იმ სტუდენტებს აქვთ, რომელთაც პროგრამა პირისპირ სწავლებით გაიარეს.
- **საფეხური 4:** გარდა ამისა, სანამ რაიმე გადაწყვეტილება მიიღება, NCEQE-მ უნდა შეიმუშაოს და ჩაატაროს **საპილოტე მეთოდოლოგია** ონლაინ/შერეული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის. ეს უნდა განხორციელდეს რამდენიმე მოხალისე უსდ-სთან ერთად და მოიცავდეს წინამდებარე ანგარიშით რეკომენდებული, გაფართოებული ავტორიზაციის სტანდარტების გამოყენებას.
- **საფეხური 5:** იმ შემთხვევაში, თუკი მიიღწევა შეთანხმება რომ ონლაინ/შერეული სწავლება შესაძლებელია და უნდა წახალისდეს, მაშინ ნებისმიერმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელსაც სურს ასეთი სწავლების შეთავაზება, უნდა გაიაროს **გამოსაცდელი პერიოდი**, რომლის დროსაც მოხდება მათი ონლაინ/შერეული სწავლების მიწოდების მონიტორინგი. გამოსაცდელი პერიოდი და მონიტორინგის პროცესი უნდა შემუშავდეს და დაორგანიზდეს NCEQE-ს მიერ, საპილოტე პროექტების ნებისმიერი შედეგებისა თუ პირობების შესაბამისად, რათა მან შეძლოს სამინისტროსთვის რჩევის მიცემა და უწყების დარწმუნება.
- **საფეხური 6:** სასარგებლო იქნება თუკი საწყის ეტაპზე ყურადღება უფრო მეტად დაეთმობა შერეულ სწავლებას და არა სრულად ონლაინ სწავლებას, რათა შესაძლებელი იყოს ამ გამოცდილების ეტაპობრივი ათვისება, გარდა ამისა ეს შეამცირებს ექსკლუზიურად ონლაინ განათლებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ რისკს.

## მეორე ნაწილი

### 2.1. ონლაინ და/ან შერეული სწავლების მქონე დაწესებულებებისთვის კონკრეტული საავტორიზაციო კრიტერიუმებისთვის გასათვალისწინებელი ძირითადი მოსაზრებების შეჯამება

წინამდებარე გზამკვლევი აცნობიერებს, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია შერეული სწავლება და სწავლა, თუმცა არ არის ნებართვით სრულად ონლაინ სწავლება. იგი ასევე აცნობიერებს, რომ არცერთ უსდ-ს ამ დრომდე არ დაუწყია და არ შეუშუშავებია შერეული პროგრამები, რაც იმას ნიშნავს, რომ ონლაინ და/ან შერეული სწავლების გამოცდილების სრული ნაკლებობაა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო კონტექსტში. ამგვარად, ეტაპობრივი მიდგომა (რომელიც მოიცავს საპილოტე ეტაპს, იხ.1.7) დაიცავს საჯარო ინტერესს და შესაძლებელს გახდის სხვადასხვა მოდელების მიკვლევას და თავდაჯერების ამაღლებას მანამ სანამ სრულ თანხმობას მიიღებთ კონკრეტული კანონმდებლობის მეშვეობით.

ქვემოთ მოცემული კონკრეტული კრიტერიუმები შემუშავებულია, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის საბაზისო მოთხოვნები უსდ-ების მიერ ონლაინ და შერეული სწავლების მიდგომების შემუშავებისა და განხორციელებისთვის, საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით.

#### *მთავრობისთვის/სააგენტოსთვის:*

წინამდებარე გზამკვლევის წინაპირობაა, რომ საქართველოს უსდ-ები მოტივირებულნი იქნებიან სტრატეგიულად გადაწყვიტონ ონლაინ და/ან შერეული სწავლების მიდგომები და ორგანიზება გაუკეთონ მათ. კერძოდ, იმისათვის რომ ეს გზამკვლევი გამოყენებადი იყოს, საჭიროა საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს კანონმდებლობა, რომელიც ნებართვას გასცემს უმაღლესი განათლების ონლაინ მიწოდებაზე და/ან მეტ უმაღლესი განათლების შერეული სწავლების მეტად მხარდაჭერაზე.

#### *უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის:*

რამდენადაც საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ გამოიყენებიათ წარსული შესაძლებლობები ონლაინ და/ან შერეული განათლების განხორციელების მხედველობაში მისაღებად, აუცილებელი იქნება გარკვეული ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება ამ გზაზე დასაადგომად. ქვემოთ მოცემული ფაქტორები არის სავალდებულო და კუმულაციური.

**მნიშვნელოვანი ფაქტორი 1:** უსდ-ები მკაფიოდ უნდა განასხვავებდნენ ერთმანეთისგან სხვადასხვა პრაქტიკების, მათ შორის მხარდაჭერის სერვისების, გაციფრულებასა და პროგრამის განხორციელების ონლაინ და/ან შერეულ მიდგომებს.

უსდ-მ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს შემდეგი:

1. იგი აციფრულებს თავის საქმიანობებს, ანუ მეტად იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის ონლაინ კომუნიკაციას/ინტერაქციას და ინტერესებულ მხარეებთან თუ
2. ნერგავს (როგორც მისი მისიის ნაწილს) პროგრამის ონლაინ და/ან შერეული სწავლებით განხორციელების მიდგომებს. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ინვესტიციის (დრო, ძალისხმევა, ფული) საჭირო დონის რეალისტურ

შეფასებას სამიზნე ინსტიტუციონალურ მიღწევებთან მიმართებით (საბიუჯეტო, სექტორში პოზიციონირების კუთხით, საზოგადოებრივი მიმართულებით, რეპუტაციის თვალსაზრისით).

**მნიშვნელოვანი ფაქტორი 2:** უსდ-ებმა მკაფიოდ უნდა განასხვავონ ერთმანეთისგან სრულად ონლაინ სწავლებისა და შერეული სწავლების მიდგომები. ონლაინ და შერეული სწავლების მეთოდები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ურთიერთშენაცვლებადი. ის პროგრამები, რომლებისთვისაც უსდ გადაწყვეტს, რომ ისწავლებოდეს ონლაინ საშუალებებით/ონლაინ მხარდაჭერით, მკაფიოდ უნდა აყალიბებდეს იმას, ეს მიდგომა სრულად ონლაინ მეთოდით განხორციელდება თუ შერეული მეთოდით და ამის შესაბამისად დაიგეგმოს, თავისი სინქრონული/ასინქრონული, საკლასო/ვირტუალური TLA აქტივობებით.

შესაძლებელია მრავალი სცენარის განვითარება და თითოეული მათგანის ინდივიდუალურად გათვალისწინებაა საჭირო:

- პროგრამა ხორციელდება ორივე სახით - სტუდენტთა ერთი ჯგუფისთვის ხორციელდება სწავლების სრულად პირისპირ მეთოდით, ხოლო სტუდენტთა სხვა ჯგუფისთვის სრულად ონლაინ მეთოდით. ესენი უნდა განვიხილოთ როგორც პროგრამის სხვადასხვა მიმართულებები, განხორციელების სხვადასხვა/სპეციფიური რეჟიმებით, მიუხედავად იმისა, რომ სამიზნედ ექნებათ ერთი და იგივე სწავლის შედეგები.
- პროგრამა შეიცავს სწავლების როგორც პირისპირ ასევე ონლაინ ელემენტებს, სტუდენტთა ერთი და იმავე ჯგუფისთვის. აქ ერთმანეთში შერწყმულია პირისპირ სწავლებისა და ონლაინ სწავლების კომპონენტები და იგი განპირობებულია შეთავაზებული კონტენტის/აქტივობების მიმართ რელევანტურობითა და შესაბამისობით.
- პროგრამა ხორციელდება პირისპირ ზოგიერთი სტუდენტისთვის და ონლაინ ისტრიმება (რეალურ დროში) სტუდენტთა სხვა ჯგუფისთვის. ეს მეთოდი შესაძლოა კოვიდ 19-ის პირობებში ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ ბევრ დიდ პრობლემასთან არის დაკავშირებული და შესაძლოა მწვავე უკმაყოფილება გამოიწვიოს.

**მნიშვნელოვანი ფაქტორი 3:** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ერთმანეთში არ უნდა აერიოთ კოვიდ- 19-ის საგანგებო რეაგირების პერიოდი, როდესაც პირისპირ სწავლება ძირითადად ონლაინ/სინქრონულმა აქტივობამ ჩაანაცვლა, სრულად განვითარებულ (სათანადოდ დაგეგმილ, ეფექტურად განხორციელებულ და ადეკვატურ მხარდაჭერის მქონე) ონლაინ მიდგომაში. ნათლად უნდა იყოს აღქმული ის ფაქტი, რომ პანდემიის პერიოდში განხორციელებული სწავლების რეჟიმი (და სტუდენტებისა და პერსონალის მიერ მისდამი მიმღებლობის ხარისხი) წარმოადგენდა კრიზისულ სიტუაციაში საგანმანათლებლო საქმიანობის შენარჩუნების მცდელობას, თუმცა იგი შესაძლოა არ ასახავდეს წარმატებულ ონლაინ და/ან შერეულ სწავლა/სწავლების გამოცდილებებს; და რომ მისი შესაძლო წარმატება შეიძლება მივაწეროთ პერსონალისა და სტუდენტების კეთილგანწყობას/ძალისხმევას საგანმანათლებლო მიზნებისადმი და ასევე ონლაინ სწავლების მეთოდოლოგიების შესახებ ინფორმაციის/გამოცდილების ნაკლებობას. შედეგად, იმას, რაც შეიძლება ეფექტურ საგანგებო რეაგირებად ჩაითვალოს, არ აქვს პოტენციალი ავტომატურად გარდაიქმნას ონლაინ სწავლებისთვის შესაფერის მიდგომად და ასევე ნაკლებსავარაუდოა მისი მდგრადობა. კოვიდ 19-ის გამო ონლაინ სწავლებაზე სწრაფად გადასვლის ნებისმიერი შეფასება, სავარაუდოდ დამახინჯებული იქნებოდა (გამოავლენდა დადებით არაობიექტურობას) ისეთი შინაარსობრივი

ფაქტორებით, როგორცაა მზარდი შემწყნარებლობა დაბალი აკადემიური მოსწრებისადმი და კომპრომისებზე წასვლის ტენდენცია, იმის საფუძველზე, რომ ნებისმიერი კრიზისი დროებითი ხასიათისაა და დროთა განმავლობაში გაივლის.

**მნიშვნელოვანი ფაქტორი 4:** უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მხედველობაში უნდა მიიღონ და სპეციალური ძალისხმევა გაწიონ კონკრეტული, ცალკემდგომი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას, რათა შეძლონ ონლაინ და/ან შერეული სწავლების უზრუნველყოფა. ამჟამინდელ პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობა შესაძლოა არაეფექტური აღმოჩნდეს, საწყის ეტაპზე, როდესაც დაინტერესებული მხარეები ეგუებიან ონლაინ და/ან შერეული სწავლების განხორციელებისა და მხარდაჭერისთვის საჭირო განსხვავებულ მიდგომებს. ამის შემდეგ (ანუ სულ მცირე ერთი სრულყოფილი ხარისხიანი ციკლის შემდეგ), უსდ-ებმა შესაძლოა ონლაინ და/ან შერეული სწავლების სპეციფიური პოლიტიკა და პროცედურები ჩასვან უფრო ფართო სტრუქტურულ/სამუშაო მოდელში.

**მნიშვნელოვანი ფაქტორი 5:** უსდ-ებმა უნდა გაითვალისწინონ ქვემოთ მოცემული კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილება, განურჩევლად მათ მიერ შეთავაზებული ონლაინ და/ან შერეული სწავლების მასშტაბისა, ანუ თუ დაწესებულება გადაწყვეტს იყოს სრულად ონლაინ რეჟიმში თუ დაწესებულება გადაწყვეტს, რომ პროგრამების უმეტესობა ჰქონდეს ონლაინ და/ან შერეული სწავლების რეჟიმში; თუ დაწესებულება გადაწყვეტს, რომ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის პროგრამაზე დაუშვას ონლაინ და/ან შერეული სწავლების მიდგომა; ან თუ დაწესებულება გადაწყვეტს ჰქონდეს პარალელური მიდგომა, სადაც პროგრამები სტუდენტებისთვის შეთავაზებულია როგორც ონლაინ რეჟიმში, ასევე პირისპირ.

## 2.2. ონლაინ და/ან შერეული სწავლების მქონე დაწესებულებებისთვის კონკრეტული საავტორიზაციო კრიტერიუმების გამოყენების ვარიანტები

ქვემოთ, ცხრილის ფორმატში მოცემული კონკრეტული კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები ემსახურება რამდენიმე მიზანს:

### გამოყენების ძირითადი ვარიანტები:

- მისცეს NCEQE-ს შესაძლებლობა, განიხილოს და წარადგინოს ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების საბოლოო ზღვარი (მინიმალური) საქართველოს უსდ-ების მიერ ონლაინ და/ან შერეული სწავლების განხორციელებისთვის.
- მისცეს უსდ-ებს შესაძლებლობა, გააცნობიერონ ონლაინ და/ან შერეული სწავლების განხორციელებისთვის საჭირო მინიმალური მოთხოვნები და გადაწყვიტონ არის თუ არა ეს, რისი გათვალისწინებაც სურთ სტრატეგიული კუთხით და რა სავარაუდო გრაფიკი სჭირდებათ მისი წარმატებული განხორციელებისთვის.
- მისცეს სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა, გაიაზრონ თუ როგორ უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ონლაინ და/ან შერეული სწავლება.
- მისცეს განათლების სამინისტროს შესაძლებლობა, გაიაზროს ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის საჭირო მინიმალური მოთხოვნები და შეიმუშაოს მხარდაჭერის მექანიზმები იმ უსდ-ებისთვის, რომლებიც ასეთი სწავლების განხორციელებას განიხილავენ.
- მისცეს განათლების სამინისტროს, NCEQE-სთან და უსდ-ებთან ერთად, შესაძლებლობა, რომ შეთანხმდნენ საპილოტე მოთხოვნებზე ხარისხის იმ

ელემენტებზე დაყრდნობით, რომლებიც საჭიროა რომ დაინერგოს მანამ, სანამ ასეთი სწავლება სრულად დამტკიცდება კანონმდებლობის გზით.

- მხარი დაუჭიროს ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების საპილოტე მეთოდოლოგიის შემუშავებას, განახლებული კანონმდებლობის შესახებ უფრო ფართო გადაწყვეტილების მხარდაჭერის მიზნით.

#### გამოყენების დამატებითი ვარიანტები:

- მისცეს უსდ-ებს შესაძლებლობა, დაუკავშირონ კოვიდ 19-ზე ამჟამინდელი რეაგირება ონლაინ განათლებისთვის საჭირო პრიორიტეტებს და შესაბამისად შეაფასოს რესურსები და აქტივობები.
- შეიქმნას საფუძველი საქართველოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ონლაინ/შერეული სწავლების აღიარების მოდელის შესამუშავებლად.

**მნიშვნელოვანია:** ამ კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ძირითად მიზანი უშუალოდ საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორის მასშტაბით კოვიდ-19-ზე საგანგებო რეაგირების ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასებისთვის განკუთვნილი არ არის. თუმცა, სათანადო დონეზე შესწორებების შეტანით, შესაძლოა ამ მიზანსაც ემსახურებოდეს.

### 2.3. სპეციალური საავტორიზაციო კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლების მქონე უსდ-ებისთვის

NCEQE-ს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები ყველა ტიპის სწავლებაზე ვრცელდება, მათ შორის ისე, რომ უზრუნველყოს ონლაინ და/ან შერეული სწავლების ხარისხი. სტანდარტები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მოთხოვნებთან და არ ექვემდებარება ცვლილებას ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის. ზოგადი კრიტერიუმები, როგორც გაწერილია მათ აღწერილობასთან ერთად, რჩება ძალაში და სრულად ვრცელდება ონლაინ და/ან შერეულ სწავლა/სწავლებაზე და უსდ-ებმა უნდა გამოავლინონ ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობა. გარდა ამისა, თუკი დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს ონლაინ და/ან შერეულ სწავლებას, ქვემოთ ხაზგასმული სპეციალური კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს და უსდ-ებმა უნდა გამოავლინონ, რომ სრულად იაზრებენ და მხედველობაში იღებენ ამ მოთხოვნებს, ითვალისწინებენ რა თავიანთი შიდა სტრუქტურების ფარგლებში, რათა გარედან შეფასდნენ, როგორც შესაბამისობაში ამ მოთხოვნებთან.

#### 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება დაწესებულების მიზნებს და აღწერს ამ მიზნების მიღწევის აშუალებებს.

#### 1.1. უსდ-ის მისია

სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:

- ონლაინ და/ან შერეული სწავლების განხორციელების ამბიციები რეალისტურია უსდ-ს ეროვნული და საერთაშორისო სტატუსის კონტექსტში
- სხვადასხვა პროგრამის განხორციელების ვარიანტად ონლაინ და/ან შერეული TLA-ს შერჩევის (პირისპირ სწავლებასთან ან პირისპირ სწავლების ნაცვლად) რაციონალური საფუძველი არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და შეესაბამება უსდ-ს მისიას.
- ნათლად არის გაცნობიერებული და ზუსტად გათვალისწინებული, თუ რა სახით ემსახურება უსდ-ს მისიას ონლაინ და/ან შერეული სწავლების მქონე პროგრამები.

## 1.2 სტრატეგიული განვითარება

### სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:

- მკაფიოდ არის გამიჯნული (სტრატეგიული განხილვის გზით) დაწესებულების მასშტაბით საქმიანობის გაციფრულების ზრდა (ანუ ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეტად გამოყენება) ონლაინ და/ან შერეული სწავლების მქონე პროგრამების განხორციელებისგან (ეს არის სტუდენტებისა და პერსონალისთვის შეთავაზებული ონლაინ და/ან შერეული სწავლების გამოცდილება).
- უსდ-ს ონლაინ და/ან შერეული სწავლების განხორციელებაზე მიღებული აქვს ზუსტი სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომელსაც მიაღწია აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ დონეზე ყველა შესაძლო გავლენის სრული გათვალისწინებით (მათ შორის ჩაატარა რისკების ანალიზი და გაითვალისწინა ფინანსური შესაძლებლობები) და დაინტერესებულ პირთა ფართო ჯგუფებთან კონსულტაციების გზით. ამ გადაწყვეტილებას აქვს მკაფიო რაციონალური საფუძველი და სრულად შესაბამისობაშია მისიასთან. განხორციელების ნებისმიერი საოპერაციო გეგმა უნდა იყოს რეალისტურად გაწერილი და მოხდეს მის შესახებ ყველა დაინტერესებული ჯგუფის ეფექტური ინფორმირება (განსაკუთრებით სტუდენტებისა და სწავლების ამ მეთოდში ჩაბმული პერსონალის).
- ასეთი სტრატეგიული მიმართულების შესახებ ინფორმირება უნდა იყოს ეფექტური და მოიცავდეს ყველა დაინტერესებულ პირს, რომელთაც პირდაპირი წვლილი შეაქვთ ონლაინ და/ან შერეული სწავლების პროცესში.
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები კონკრეტულად შეიცავს სამოქმედო პუნქტებს, სადაც გათვალისწინებულია ონლაინ და/ან შერეული სწავლების სპეციალური საჭიროებები (დაგეგმვა, ინვესტიცია, მხარდაჭერა, ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება). სამოქმედო პუნქტები, რომელთა ორიენტირაც არის ონლაინ და/ან შერეული სწავლა/სწავლება, უნდა აცნობიერებდეს შედეგებსა და განშტოებებს/ურთიერთკავშირს უსდ-ს მიერ შეთავაზებული საქმიანობის ყველა სფეროს მასშტაბით, რათა სათანადოდ შემოწმდეს ყველა ოპერაცია ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველსაყოფად. დაწესებულების ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ყველა ასპექტის ზედმიწევნით შესწავლა (და შემდგომ განვითარება) იქნება საჭირო, რათა შეესაბამებოდეს ონლაინ და/ან შერეული სწავლებას.
- სტრატეგიული დოკუმენტაცია მკაფიოდ განსაზღვრავს შესაბამისი რაოდენობის ადამიანური, ინფორმაციული და მატერიალური რესურსის გამოყოფას, რაც განამტკიცებს ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის სახასიათო მოთხოვნებს. რესურსები რეზერვირებულია და შესაბამისობაშია ონლაინ და/ან შერეული სწავლების აქტივობებთან.



- სტრატეგიულ დოკუმენტაციაში მკაფიოდ გაწერილია ინსტიტუციონალური პრიორიტეტიზაციის დონე (მაგალითად სტრატეგიული მიმართულებების/სამოქმედო პუნქტების პრიორიტეტული მატრიცით) ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის, კერძოდ, სტრატეგიულ დოკუმენტებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული თუ რა დონეზე პრიორიტეტული იქნება ონლაინ და/ან შერეული სწავლების ინიციატივები სხვა საქმიანობებთან შედარებით, რათა გადაწყვეტილებების მიმღები სტრუქტურებისთვის არსებობდეს მკაფიოდ განსაზღვრული მიმართულება.
  - საწყის ეტაპზე, მაშინ როდესაც ხდება ონლაინ და/ან შერეული სწავლების დანერგვა, განცალკევებით უნდა შემუშავდეს ონლაინ და/ან შერეულ სწავლებასთან დაკავშირებული სპეციალური პოლიტიკა და მოხდეს მისი ინტეგრირება უფრო ფართო მოდელში, უკვე მას შემდეგ, რაც ონლაინ და/ან შერეული სწავლება გახდება დაწესებულების პორტფოლიოს მუდმივი/ჩვეული მახასიათებელი.
- სახელმძღვანელო შენიშვნა: ონლაინ და/ან შერეული სწავლების რეგულირებისთვის უკვე არსებული პროცედურების გამოყენების მცდელობა, ამ ინიციატივისთვის საჭირო სპეციალური პროცედურული დოკუმენტაციის შექმნის გარეშე, შესაძლოა ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს და შეამციროს გავლენა და სიჩქარე, რომლითაც დაინტერესებულმა მხარეებმა ეს ცვლილება უნდა მიიღონ. საწყის ეტაპზე, ასეთი ინიციატივის დანერგვისას, მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა საჭირო, რათა დაინტერესებულმა პირებმა ყურადღება გაამახვილონ იმ სპეციფიკურ მხარეებზე, რომელთა წინაშეც აღმოჩნდებიან; ამის შემდეგ, უკვე როცა ონლაინ და/ან შერეული სწავლების კომპონენტები მონიტორინგისა და შეფასების სულ მცირე ერთ ციკლს გაივლიან, უსდ-ს შეუძლია განიხილოს ონლაინ და/ან შერეული სწავლების კონკრეტული პროცედურები შეიტანოს ფართო, ყოვლისმომცველ ინსტიტუციონალურ პოლიტიკაში, ეტაპობრივად კი სრულად ჩასვას ონლაინ და/ან შერეული სწავლების ელემენტი.
- სხვა ინსტიტუციონალური პროცედურები უნდა განახლდეს, ონლაინ და ან/შერეული სწავლების შესაძლო შედეგების ანგარიშების მიზნით და რომ უზრუნველყოფილი იყოს იმ კონკრეტულ საჭიროებებთან შესაბამისობა, რომლებიც წარმოიშობა ონლაინ და/ან შერეულ სწავლებაზე სტრატეგიული გადასვლიდან.
- სახელმძღვანელო შენიშვნა: მკაფიოდ გამოხატული განცხადებები უნდა გაკეთდეს ონლაინ და /ან შერეული სწავლების მოთხოვნების შესახებ იქ, რამდენადაც ეს გავლენას მოახდენს უსდ-ში ფუნქციონალური საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაზე. ამჟამინდელ სისტემებზე/სტრუქტურებზე დაყრდნობა შესაძლოა ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდეს ონლაინ და/ან შერეული სწავლების კონკრეტული საჭიროებების გამოსავლენად, ამ საჭიროებების გამოსაკვეთად განკუთვნილი პროცედურული სპეციფიკაციების გარეშე.
- კარგად უნდა იყოს გაცნობიერებული (კარგად გამოკვეთილი) ონლაინ და /ან შერეული სწავლების გავლენა საზოგადოებრივ განვითარებასა და უწყვეტი განათლების აქტივობების მხარდაჭერაზე.

**2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**  
 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის

**უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.**

**2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- საჭიროა ონლაინ და/ან შერეული სწავლების მოთხოვნების გამოვლენა და მათი სათანადოდ ინტეგრირება მთელს ორგანიზაციულ სტრუქტურაში (მაგალითად, სარკისებურად აისახოს კომიტეტის წევრობაში/წარმომადგენლობაში, განახლდეს ToR-ებში და მოქმედ დღის წესრიგში), რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი გათვალისწინების გათანაბრდება სწავლების ამჟამინდელ ფორმებთან. მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და პასუხისმგებლობები უნდა მიენიჭოთ ონლაინ და/ან შერეული სწავლების სტრუქტურების მართვისთვის.
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ყველა დონეზე სათანადოდ უნდა ითვალისწინებდეს ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის ინსტიტუციურ დონეზე სტრატეგიულად მინიჭებული პრიორიტეტის დონეს.

**2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- უსდ-ებს უნდა ჰქონდეთ სპეციალურად ონლაინ და/ან შერეული სწავლებისა და მისი მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებისთვის განკუთვნილი ღონისძიებები. სადაც საჭიროა, ეს ღონისძიებები უნდა განსხვავდებოდეს პირისპირ სწავლებისთვის განკუთვნილი ხარისხის უზრუნველყოფის ზომებისგან. ამგვარად, შესაძლოა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტებში ცვლილებების შეტანა, მათი სხვაგვარად გამოყენება ან სრულიად ახალი მიმართულების მიცემა იყოს საჭირო, რათა უზრუნველყოფილი იყოს ონლაინ და/ან შერეული სწავლების მქონე პროგრამების მახასიათებლების სათანადოდ აღრიცხვა.
- ონლაინ და /ან შერეული სწავლების პროგრამებზე მომუშავე ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალი შესაბამისად უნდა გადამზადდეს, რათა ერთმანეთისგან განასხვავონ პირისპირ, ონლაინ და შერეული სწავლებისთვის განკუთვნილი ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების ზომები.
- შესაბამისად უნდა შეიცვლოს პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ონლაინ და/ან შერეული სწავლების სახასიათო მოთხოვნების ადეკვატური დაკმაყოფილება.
- ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის შეზღუდვები, რასაც ასეთი გარემო ითვალისწინებს, რათა განათლების ხარისხი თავისი შედეგებით (და არა მიწოდებით) ამჟამინდელი სწავლების ფორმების თანაბარი იყოს. ონლაინ და/ან შერეული სწავლების განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი ინდიკატორებისა და სამიზნე ნიშნულების სპეციალური შემუშავება.

**2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- უსდ-მ უნდა დააწესოს მკაფიოდ განსაზღვრული პირობები სტუდენტების მხრიდან დასაშვები ონლაინ ქვევების შესახებ.
- ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსები მკაფიოდ განსაზღვრავენ აკადემიური კეთილსინდისიერების მოლოდინებს ონლაინ და/ან შერეული სწავლა-სწავლების კონტექსტში, შეიცავენ სპეციალურ რეგულაციებს ონლაინ და/ან შერეული სწავლების განხორციელებისთვის (რომლებიც ითვალისწინებს ონლაინ და/ან შერეული სწავლების გამოწვევებს) და ნათლად ასახელებენ თუ რა წარმოადგენს ამ რეგულაციების დაღვევას და რა შედეგები/საჩივრები არის მოსალოდნელი.

სახელმძღვანელო შენიშვნა: რეგულარულმა ტრენინგებმა ხელი უნდა შეუწყოს ონლაინ და/ან შერეული ინტერაქციებით განპირობებული გამოწვევების გაცნობიერებას და შემოგვთავაზოს შესრულების მოდელები აკადემიური ქვევის განვითარების მხარდასაჭერად.

- უსდ-მ უნდა დააზუსტოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ასპექტები იმ კონტენტისთვის, რომელიც გამოიყენება ონლაინ მედიაში და/ან ქვეყნდება ვირტუალური სწავლების გარემოში (VLE). ელექტრონული გავრცელებისას უნდა მოხდეს საავტორო უფლებების დაცვის ხელშეწყობა (რა არის ნებადართული და რა არა).
- უსდ-მ უნდა დააზუსტოს მონაცემთა დაცვის მოთხოვნები იმ სინქრონული აქტივობებისთვის, რომლებიც შესაძლოა ჩაწერას დაექვემდებაროს (როდის და როგორ არის ეს მისაღები და როდის არ არის დასაშვები).

### 3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- ონლაინ და /ან შერეული პროგრამების შემუშავება და განვითარება ხორციელდება ონლაინ ან შერეული სწავლებისთვის სახასიათო პრინციპებისა და პრაქტიკების დაცვით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა ყველა ჯგუფისთვის სწავლის შესაძლებლობების მოქნილობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ ასპექტებს.

სახელმძღვანელო შენიშვნა: უდავოა ის ფაქტი, რომ კოვიდ-19-ის საგანგებო რეაგირება ვერ იქნენა სათანადო საშუალება ონლაინ და/ან შერეული სწავლების განსახორციელებლად, და ვინაიდან უსდ-ებს შეუძლიათ მიღებული გაკვეთილებიდან ისწავლონ და განვითარდნენ, დაწესებულებებმა კონკრეტულად უნდა დაგეგმონ ონლაინ და/ან შერეული სწავლება, როგორც კი ამ მხრივ სტრატეგიული გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ეს გულისხმობს, რომ უსდ-ებმა არ უნდა გააგრძელონ იმ მოდელით მუშაობა, რომელიც პანდემიის კრიზისის დროს ხორციელდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა თუკი ეს მოდელი ვრცლად და დეტალურად შეისწავლეს და შეამოწმეს ონლაინ და/ან შერეული სწავლების კონტექსტისადმი შესაბამისობის კუთხით.

- ონლაინ და/ან შერეული პროგრამები უნდა ხელმძღვანელობდნენ დაგეგმვის ნორმალური კურსით და ამას განხორციელებისთვის საკმარისი დრო უნდა დაეთოს.
- უსდ-მ უნდა გააცნობიეროს და დაუშვას დაგეგმვის განსხვავებული მიმართულებების არსებობა სწავლების ამ ორი მეთოდისთვის, მაშინაც კი თუ განზრახულია ერთი და იმავე პროგრამის შეთავაზება როგორც ონლაინ , ასევე პირისპირ რეჟიმში. ორივე ინიციატივაზე იმოქმედებს გადაწყვეტილებების მიღების სტანდარტული პროცესები და არ უნდა მოხდეს მათი გაერთიანება.

სახელმძღვანელო შენიშვნა: სარისკო იქნება მკვეთრად გადასვლა იმ მოდელზე, სადაც პროგრამა განაგრძობს ორივე სახის - პირისპირ და ონლაინ სწავლებას, პანდემიის კრიზისის შემდგომ. თუკი უსდ განიზრახავს, რომ ერთმანეთის პარალელურად სწავლების ორივე ფორმა შესთავაზოს სტუდენტებს, ეს ორი ფორმა უნდა განიხილოს როგორც ინიციატივები, რომლებიც საჭიროებს განცალკევებულ შემუშავებასა და განვითარებას, მხედველობაში მიიღოს ის საჭიროებები, რომელთაც ისინი შესაძლოა ემსახურებოდეს, გაითვალისწინოს საჭირო ინვესტიციები და მისიასთან შესაბამისობა. იმის ვარაუდი, რომ პერსონალი რომელიც ტრადიციულად პირისპირ სწავლების პროგრამას ახორციელებდა, შეძლებს მყისიერად გადასვლას ონლაინ სწავლებაზე, პრობლემატურია და სწავლების განხორციელებაში გამოწვევებს განაპირობებს. იმის ვარაუდი, რომ თანაბარი რესურსებია საჭირო სწავლების ორივე ფორმისთვის, ასევე პრობლემატურია და შესაძლოა განხორციელების მხრივ გამოწვევები განაპირობოს. იმის ვარაუდი, რომ პირისპირ საკლასო სწავლების „სტრუქტურა“ (საკლასო ოთახში არსებული ვიდეო-კამერებით) პროგრამის ონლაინ ვერსიაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის შეძლებს მოიცვას ონლაინ სწავლების საჭიროებები, შედეგად გამოიწვევს როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების უკმაყოფილებას.

- უკუკავშირის მიღება ინდივიდუალურად უნდა მოხდეს პროგრამის განხორციელების ყველა ფორმისთვის.

სახელმძღვანელო შენიშვნა: სწავლების ერთი ფორმისთვის მიღებული უკუკავშირი სტრუქტურისა და კონტენტის შესაძლო განვითარების შესახებ, სწავლების სხვა ფორმისთვის გამოსადეგი შესაძლოა არ აღმოჩნდეს.

- უსდ უზრუნველყოფს, რომ, დამტკიცების შემთხვევაში, მას გათვალისწინებული ექნება ონლაინ და /ან შერეული სწავლების პროგრამების მდგრადობის რისკები და განსაკუთრებით იმ შემთხვევისთვის, როდესაც ერთი და იმავე პროგრამის განხორციელება გადაწყდა როგორც ონლაინ ისე პირისპირ ვერსიით.
- პროგრამის დახურვის პროცედურები უნდა განახლდეს, რათა მოიცვას ონლაინ და/ან შერეული სწავლების მახასიათებლები.

**საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- მართალია, სტრუქტურისა და სწავლის შედეგების დუბლირება შესაძლებელია პირისპირ სწავლებისა და ონლაინ და/ან შერეული პროგრამების მასშტაბით, თუმცა გამოსაყენებელი რესურსები (მათ შორის VLE პლატფორმები და ვებ-ზე დაფუძნებული კოლაბორაციული ინსტრუმენტები), სწავლების მეთოდები

(ინტერაქტიულობის სახე), ხელმისაწვდომობის პირობები ძალიან განსხვავებულია. არსებითი განაწილება უნდა დაინერგოს სინქრონულ და ასინქრონულ სწავლა-სწავლებას შორის, რომელთა მოცულობა სიფრთხილით უნდა დაიგეგმოს. ონლაინ და /ან შერეულ სწავლებასთან დაკავშირებული სპეციფიური გამოწვევების მკაფიოდ განსაზღვრით უნდა იხელმძღვანელოთ დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში.

- სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლობა თანმიმდევრულია სხვადასხვა პროგრამული კომპონენტების მასშტაბით, რათა სტუდენტებს ნავიგაცია გაუმარტივდეთ.
- სტრუქტურა იძლევა მოქნილობისა და მოდულარობის საშუალებას და ხელს უწყობს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მარტივ მოწყობას, პროგრამის ყოვლისმომცველი ერთეულის შედგენისას.
- სადაც პროგრამა მოითხოვს დადასტურებულ სამუშაო გამოცდილებას (სტაჟირება ან სამუშაოზე განთავსებას) და პროფესიონალურად -ორიენტირებულ სწავლას (სიმულაციები, პროექტები და ა.შ), მნიშვნელოვანია რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს თუ რომელი ვარიანტია პირისპირ სწავლების ფორმით ხელმისაწვდომი და რომელი ვარიანტია ადეკვატური ონლაინ სწავლებისთვის.

სახელმძღვანელო შენიშვნა: ცხადია, იქნება პროგრამები (სამედიცინო/ჯანდაცვის, სამხატვრო და ა.შ), სადაც ონლაინ პროფესიული სწავლება შესაძლოა არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდეს სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად. ასეთი პროგრამებს შესაძლოა მხოლოდ შერეული სწავლების მიდგომა მოერგოს.

- სავალდებულო რესურსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სწავლების ფორმისათვის შესაფერისი მექანიზმების მეშვეობით. ელექტრონული რესურსები საჭიროებს სათანადო ლიცენზირებას და საკმარისი რაოდენობით.

სახელმძღვანელო შენიშვნა: ადეკვატური პროცედურული დადგენილებების მეშვეობით უნდა შეწყდეს ისეთი პრაქტიკები, როგორებიცაა მთლიანი წიგნების სკანირება ან ასლის გადაღება.

- კონტენტის მიწოდება უნდა ითვალისწინებდეს სწავლების კონკრეტულ მეთოდოლოგიებს, რომლებიც შესაფერისია ონლაინ გარემოსთვის და მხარდაჭერილია ადეკვატური საგანმანათლებლო კომპიუტერული პროგრამებით. დაწესებულების ვირტუალური სწავლების გარემო (VLE) ხელს უნდა უწყობდეს სინქრონული და ასინქრონული მიწოდების მეთოდოლოგიებს.
- VLE-ზე შემუშავებული და ატვირთული კონტენტის საავტორო უფლებები სათანადოდ უნდა იყოს დაცული. უსდ-ს უნდა ჰქონდეს პროცედურული დადგენილებები ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ იმ კონტენტისთვის, რომელიც ინტერნეტში იტვირთება (ვინ ინარჩუნებს საავტორო უფლებას - პერსონალის წევრი, უსდ თუ ხალხი).
- არსებული ონლაინ რესურსებიდან ადაპტირებული კონტენტი უნდა დაემორჩილოს ღია საგანმანათლებლო რესურსების (OER) პასუხისმგებლიანი გამოყენების პრინციპებს, რომლებიც შესაძლოა დაექვემდებაროს სხვადასხვა ტიპის Creative Commons (CC) ლიცენზიებს. უსდ-ს უნდა ჰქონდეს პროცედურული დადგენილებები, რომლებიც უზრუნველყოფს OER და CC-ის გამოყენების მხრივ საუკეთესო პრაქტიკების ხელშეწყობას, სადაც ნებართვები მკაფიოდ განსაზღვრულია.
- ონლაინ და /ან შერეული სწავლება მნიშვნელოვნად ეფუძნება ციფრულ კომპეტენციებს. სპეციალური ტრენინგების ჩატარებაა საჭირო, რათა სტუდენტებმა და პერსონალმა შეძლონ ICT უნარების განვითარება, რომ ეფექტურად ჩაერთონ პროგრამის კონტენტსა და მის საფუძვლად არსებულ ტექნოლოგიებში.

- დაწესებულების მიერ მარკეტინგული ინფორმაცია პროგრამების შესახებ, მკაფიო განსხვავებას წარმოაჩენს პირისპირ და ონლაინ და/ან შერეული სწავლების რეჟიმებს შორის, გამოკვეთავს თითოეულის მახასიათებლებს, ხელმისაწვდომობის, განხორციელების ფორმებს, შეფასებებს და ზოგადად კურსის დამთავრებასთან დაკავშირებულ მოლოდინებს.

### 3.3 სწავლის შედეგების შეფასება

#### სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:

- უსდ-მ უნდა შეიმუშაოს ონლაინ და /ან შერეული სწავლების განხორციელებისათვის შესაფერისი შეფასებები და უნდა იყენებდეს ისეთ ხელსაწყოებს, რომლებიც ონლაინ შეფასებისთვის ეფექტურ პირობებს ქმნის. სახელმძღვანელო შენიშვნა: ონლაინ და/ან შერეული სწავლების მქონე პროგრამების/მოდულების შეფასებისთვის არ შეიძლება გაიმეოროთ (გამოიყენოთ) პირისპირ სწავლებისთვის განკუთვნილი შეფასების მეთოდები. ონლაინ და /ან შერეული სწავლება საჭიროებს უფრო ფორმატულ შეფასებებს და სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელ შეფასებებს, რაც განსხვავდება პირისპირ სწავლებისთვის შესაბამისი შეფასებებისგან.
- უსდ-მ უნდა გააცნობიეროს, რომ განსხვავებული ეთიკური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება ონლაინ სწავლების შეფასებისას, რაც სათანადო პირობებს საჭიროებს.
- თანასწორობისა და სამართლიანობის მიღწევა ხშირად პირისპირ სწავლებისთვის შესაფერისი მექანიზმებისგან განსხვავებული მექანიზმებით მოხდება.
- საჩივრების სისტემა, უნდა შეიცავდეს რეგულაციებს, რომლებიც კონკრეტულად ონლაინ და /ან შერეული სწავლების საჭიროებებს შეეხება.
- სადაც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლაა გათვალისწინებული და ამას უშუალოდ წვლილი შეაქვს პროგრამის ყოვლისმომცველ სწავლის შედეგებში, ასეთი გამოცდილებების შეფასების მოდელები უნდა განახლდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს ზუსტი და სანდო შეფასების გაკეთება.

#### 4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი

(აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/

ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

#### 4.1. პერსონალის მართვა

#### სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:

- ონლაინ და/ან შერეული სწავლა-სწავლების განხორციელებისთვის უნდა მოხდეს შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე პერსონალის დასაქმება და/ან მოხდეს მათი სათანადო გადამზადება. სამუშაოს აღწერილობები მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, თუ სადაა ონლაინ და/ან შერეული კომპონენტით სწავლება მოსალოდნელი და რა მოთხოვნების დაკმაყოფილებაა საჭირო და/ან სასურველი ამ როლის შესასრულებლად.

სახელმძღვანელო შენიშვნა: უსდ-მ როლების მიხედვით უნდა განასხვავოს, თუ რა კვალიფიკაციას უნდა ფლობდეს პერსონალი დასაქმებისას და რა ექსპერტიზას შეიძენენ ან როგორ გადაამზადდებიან დასაქმების შემდეგ.

- უსდ-მ უნდა დაუშვას პერსონალის მიგრირება პირისპირ სწავლებიდან ონლაინ და/ან შერეულ სწავლებაზე, უზრუნველყოს დრო და რესურსები უნარების გასაუმჯობესებლად და ახალი უნარების გამომუშავებისთვის, რათა შესაძლებელი იყოს ონლაინ და/ან შერეული სწავლების სათანადოდ განხორციელება.
- უსდ-მ ორგანიზება უნდა გაუწიოს სპეციალურ ტრენინგებს ციფრული კომპეტენციების და ონლაინ პედაგოგიკის განვითარებისთვის და იმისათვის, რომ პერსონალი გაეცნოს იმ კონკრეტულ საგანმანათლებლო IT ინსტრუმენტებს, რომლებიც საჭიროა ონლაინ სწავლებისთვის. უსდ-მ ონლაინ სწავლებაში ჩაბმული პერსონალის მონაწილეობის მჭიდრო მონიტორინგი უნდა განხორციელოს, რათა უზრუნველყოს ცოდნის, აღქმისა და უნარების სათანადო განვითარება ონლაინ საგანმანათლებლო გარემოს ეფექტურ გამოყენებასთან მიმართებით.

სახელმძღვანელო შენიშვნა: პერსონალის უწყვეტი პროფესიული

განვითარების/გადამზადების მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმას, რომელიც სტრატეგიაზე უნდა იყოს დაფუძნებული და მოხდეს მისი შესაბამისი მონიტორინგი, ამოცანების დროული და კოორდინირებული მიღწევის მიზნით.

- ონლაინ და/ან შერეულ სწავლებაში ჩართული პერსონალის საქმიანობის შესრულების განხილვა ადეკვატურად ითვალისწინებს სწავლების ამ ფორმის მახასიათებლებსა და სათანადოდ იღებს მხედველობაში იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც პერსონალი დგას.
- საქმიანობის შესრულების ხარისხისთვის უსდ იყენებს მკაფიოდ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს, რომლებიც სხვადასხვაგვარად გამოიყენება სწავლების ფორმის მიხედვით, რათა სათანადოდ შეაფასოს კმაყოფილების დონეები და გამოავლინოს შემდგომი განვითარების საჭიროებები.

#### 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:

- უსდ-მ უნდა გამოიყენოს სამუშაო დატვირთვის მატრიცა, რომელშიც ადეკვატურად არის ასახული ყველა გეგმა და მოსამზადებელი დრო ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის, მათ შორის არა მხოლოდ სინქრონული, არამედ ასინქრონული აქტივობებისთვის.

სახელმძღვანელო შენიშვნა: ონლაინ სწავლებაში ასინქრონული და სინქრონული აქტივობებისთვის განკუთვნილი მასალების მომზადებისთვის საჭირო დრო აღემატება იმ დროს, რომელიც საჭიროა პირისპირ სასწავლო აქტივობების მომზადებისთვის.

- უსდ-მ უწყვეტი პროფესიული განვითარების ტრენინგები ადეკვატურად უნდა ასახოს თავის სამუშაო დატვირთვის მოდელში, როგორც საკუთარი პერსონალისთვის, ასევე მოწვეული/ასოცირებული პერსონალისთვის.

სახელმძღვანელო შენიშვნა: სამუშაო დატვირთვა რეალისტური უნდა იყოს ონლაინ და/ან შერეულ სწავლებაში ჩართული პერსონალისთვის, მოიცავდეს დროს უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის ონლაინ გარემოს/ინტერაქციის მოდელის მიმართულებით, სხვაგვარად უსდ დადგება იმ რისკის წინაშე, რომ პერსონალი შესაძლოა გადაიტვირთოს და იყოს ნაკლებ მოტივირებული.

- უსდ აქტიურ მონიტორინგს უწევს პერსონალის ფსიქიკურ კეთილდღეობას და უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს, რომლებიც ხელმისაწვდომია

პერსონალისთვის, რომელსაც შესაძლოა უჭირდეს ონლაინ გარემოს დინამიურობასთან ადაპტირება (მაგალითად, ციფრული გადაღლის სიმპტომები).

### 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

#### 5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- სხვადასხვა პროგრამებზე ჩარიცხვისას, უსდ-მ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა საჭიროებები. სპეციალური საჭიროების და/ან დაბალი შემოსავლის მქონე სტუდენტებისთვის შესაძლოა საჭირო იყოს გონივრული ცვლილებების განხორციელება, ონლაინ და/ან შერეული სწავლების დროს.
- სტუდენტთა მიღების პროცესები ონლაინ და პირისპირ სწავლების პროგრამებზე მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს, უზრუნველყოფილი იყოს, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ონლაინ სწავლების სპეციფიკაზე, თუკი ამ ფორმის სწავლებას ირჩევენ და აქვთ მინიმალური ტექნოლოგიები და ტექნიკური აღჭურვილობა ასეთი პროგრამისთვის.
- უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ განსაზღვრულია, რომ თუკი სწავლების ფორმა არის ონლაინ ანუ სტუდენტმა გაიარა ონლაინ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ჩარიცხა ამ პროგრამაზე, უსდ დაიცავს სტუდენტს ნებისმიერი სამომავლო ცვლილებებისგან, რომლებიც შესაძლოა დაწესებულებამ მიიღოს ონლაინ სწავლებასთან მიმართებაში (კერძოდ, შეცვალოს ონლაინ სწავლება შერეული სწავლებით ან შეცვალოს ონლაინ სწავლება პირისპირ სწავლებით).

#### 5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- მხარდაჭერის სერვისები კარგად უნდა იყოს კალიბრირებული, რათა უზრუნველყოს ადეკვატური მხარდაჭერის თანაბარი შეთავაზება ყველა სტუდენტისთვის (სრულ განაკვეთზე, ნახევარგანაკვეთზე სწავლისას და დისტანციური სწავლისას).
- მხარდაჭერის ყველა სერვისი კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის ერთ დონეზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის, მათ შორის დისტანციურ სწავლებაზე მყოფი სტუდენტებისთვის.
- უსდ დაბალი სოციალური სტატუსის მქონე სტუდენტებს და/ან შშმ სტუდენტებს სთავაზობს გონივრულად მორგებულ პირობებსა და მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით.

სახელმძღვანელო შენიშვნა: სტუდენტებს, რომელთაც უჭირთ წვდომისთვის (ინტერნეტ კავშირი, ლეპტოპი, პადი და ა.შ.) აუცილებელი მოთხოვნების



დაკმაყოფილება, გაურთულდებათ ონლაინ პროგრამაში (ასევე შერეულ პროგრამაში) ჩართულობის ადეკვატური დონის შენარჩუნება).

- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების მუდმივ წვდომას აკადემიურ კონსულტაციებზე (მაგალითად, პერსონალური ტუტორის/მენტორის ან სხვა საშუალებებით) და ეს არ არის შეზღუდული პედაგოგის მხრიდან კონკრეტული კურსის განხორციელებაში ჩართულობით.
- უსდ აცნობიერებს გაძლიერებული ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროებას და დისტანციურ-სწავლებაზე და შერეულ პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისთვის შეიმუშავებს შესაბამის ზომებს, რათა მათ ჰქონდეთ ადეკვატური წვდომა ტექნიკურ რჩევებზე/ტრენინგებზე, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს დროულად და ეფექტურად ჩაერთონ თავიანთი პროგრამის ონლაინ კომპონენტებში.
- უსდ ონლაინ პროგრამებისთვისაც უზრუნველყოფს დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ეფექტურ ორგანიზებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ასეთი თანამშრომლობა პირდაპირ რელევანტურია სწავლის შედეგების მიღწევასთან, თუმცა ასევე იმ მიზნისთვის, რომ გააუმჯობესოს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობები.
- უსდ უზრუნველყოფს რელევანტურ საერთაშორისო ექსპოზიციას დისტანციურ სწავლებაზე მყოფი სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც სწავლის ადგილი შესაძლოა უსდ-ს ადგილმდებარეობისგან კულტურულად განსხვავდებოდეს. ასეთი შესაძლებლობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებდეს დისტანციურ სწავლებაზე მყოფი სტუდენტების სპეციალურ საჭიროებებსა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს.
- უსდ აქტიურ მონიტორინგს უწევს სტუდენტების ფსიქიკურ კეთილდღეობას და უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, რომელთაც შესაძლოა უჭირდეთ ონლაინ გარემოს დინამიურობასთან ადაპტირება (მაგალითად, ჰქონდეთ იზოლაციის გამოხატული შეგრძნებები).
- შეძლებისდაგვარად, უსდ შეიმუშავებს კლასგარეშე აქტივობებს (სპორტულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო) სოციალური ინტერაქციისთვის, რათა დისტანციურ სწავლებაზე მყოფი სტუდენტების სრული ჩართულობა უზრუნველყოს. თუკი ამის მიღწევა შეუძლებელია, ასეთი დეტალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება პროგრამაზე მიღების პროცესში, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ადეკვატური მოლოდინები და არ შეექმნათ არასწორი შეხედულებები. სახელმძღვანელო შენიშვნა: ცხადია, ონლაინ სწავლების გამოცდილება ძალიან განსხვავებული იქნება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სწავლებისგან და სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია ამ განსხვავებებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში კოვიდ 19-ზე საგნგებო რეაგირების პერიოდამდე ონლაინ სწავლების გამოცდილება არ არსებობდა, არსებითი მნიშვნელობისაა რომ მოლოდინები სწორ დონეზე განისაზღვროს, რათა თავიდან აიცილოთ შემდგომში სტუდენტთა უკმაყოფილება.
- სტუდენტთა კმაყოფილების დონის შესასწავლად ჩატარებული გამოკითხვები შესაბამისად შეიცვლება, რათა მოიცვას ონლაინ და/ან შერეულ პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისთვის სახასიათო ელემენტები, ამგვარად შესაძლებელი იქნება მათი გამოვლენა და მათზე ყურადღების გამახვილება.

## 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, თავისი ფორმისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და ამ საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

**6.1. კვლევითი საქმიანობა**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- უსდ უზრუნველყოფს, რომ ზედმიწევნით განიხილავს შეთავაზებებს ონლაინ კვლევითი საქმიანობისთვის და თავიდანვე განსაზღვრავს დასაშვებია თუ არა მათი დამტკიცება და რა დამატებითი რისკების მატარებელი შეიძლება იყოს ისინი.
- როდესაც სადოქტორო კვლევა ხორციელდება დისტანციურ/ონლაინ რეჟიმში, დოქტორანტები და ხელმძღვანელები სათანადოდ ინტეგრირებულნი არიან ტექნიკურ პლატფორმებზე, რომლებსაც გამოიყენებენ კვლევითი თანამშრომლობის.
- პროცედურული მოთხოვნები დადგენილია და განსაზღვრავს ონლაინ ინტერაქციის სიხშირესა და შინაარსს და შესაბამისი პროგრესის და/ან შედეგების აღრიცხვის ვარიანტებს.
- უსდ აცნობიერებს, რომ ონლაინ ინტერაქციას შესაძლოა მეტი დრო დასჭირდეს და უწყვეტ მონიტორინგს უწევს ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას.

**6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- როდესაც კვლევა ხორციელდება დისტანციურ/ონლაინ რეჟიმში, უსდ უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს და მონიტორინგს უწევს მათში დოქტორანტების, ხელმძღვანელებისა და მკვლევარების მონაწილეობას.

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- ონლაინ რეჟიმში მიმდინარე კვლევითი საქმიანობა უწყვეტ შეფასებას ექვემდებარება როგორც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემადგენელი ნაწილი, გამოიკვეთება კონკრეტული გამოწვევები და ხდება მათზე რეაგირება.

**7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**7.1 მატერიალური რესურსები**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- ონლაინ ინფრასტრუქტურა მიიჩნევა მისიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ და პრიორიტეტი ენიჭება სტაბილურობისა და ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას.
- კომპიუტერებზე/ლექტორებზე წვდომა და ადეკვატური ფართო-საკომუნიკაციო საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს პერსონალისა და სტუდენტებისთვის. უსდ უნდა ჰქონდეს წვდომასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენისა და

გადაჭრის სისტემატური მიდგომა, როდესაც ეს პრობლემები აფერხებს ონლაინ სწავლებას.

- უსდ-ს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სარეზერვო სერვერები, რათა VLE-ზე შენახული ინფორმაცია იყოს შენარჩუნებული და დაცული.
- მონაცემთა ცენტრებისა და მხარდაჭერის სერვისების უწყვეტობისთვის არსებობს სათადარიგო გეგმა, სერვისზე წვდომის გახანგრძლივებული შეფერხების შემთხვევების დროს.

**7.2. საბიბლიოთეკო რესურსები**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ ონლაინ და/ან შერეულ სასწავლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა შესაბამის წყაროებზე ელექტრონულ ფორმატში იმ საშუალებებით, რომლებიც კანონმდებლობით ნებადართულია.

სახელმძღვანელო შენიშვნა: საავტორო უფლებების შესახებ კანონი განმარტავს, რომ მთლიანი წიგნების სკანირება უკანონო ქმედებაა, კერძოდ წიგნის 10 პროცენტზე მეტის სკანირება/ასლის გადაღება დაუშვებელია. უსდ საჭიროებს წიგნების საკმარისი რაოდენობის ლიცენზიებს/ელექტრონულ ასლებს, რომლებზე წვდომაც სპეციალური პლატფორმებითაა შესაძლებელი, რათა სტუდენტებისთვის წიგნები კანონიერად იყოს ხელმისაწვდომი.

**7.3 საინფორმაციო რესურსები**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- უსდ აქვს მუშა და კარგად განვითარებული ვირტუალური სწავლების გარემო (VLE), რომელიც ექვემდებარება რეგულარულ ტექნიკურ მხარდაჭერას და ემორჩილება მონაცემთა დაცვისა და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობას.
- ონლაინ სწავლებისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამა უნდა იყოს ხელმისაწვდომი და შეძენილი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის ლიცენზიები.
- ონლაინ და/ან შერეული სწავლების ტექნიკური მხარდაჭერის პერსონალი დროულად და ეფექტურად უნდა სთავაზობდეს ადეკვატური დონის მხარდაჭერას როგორც სტუდენტებს, ისე პერსონალს.

**7.4 ფინანსური რესურსები**

**სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის:**

- ონლაინ და/ან შერეული სწავლების ინიციატივებისთვის სპეციალურად უნდა გამოიყოს სათანადო რაოდენობის ფინანსური რესურსები. ასეთი რესურსები უნდა გამოიყოს როგორც სტრატეგიული და საბიუჯეტი დაგეგმვის ნაწილი და შეადგენდეს ბიუჯეტის ცალკე განსაზღვრულ მუხლებს. ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის განკუთვნილი კალკულაციები უნდა იყოს რეალისტური და შეესაბამებოდეს უსდ-ს ფინანსურ შესაძლებლობებს.

სახელმძღვანელო შენიშვნა: ონლაინ და/ან შერეული სწავლება საჭიროებს კონკრეტული ინვესტიციის არსებით დონეს, რომლის არასათანადოდ შეფასება არ შეიძლება მაშინ, როდესაც ასეთი ტიპის სწავლების შეთავაზებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება.

- ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა საჭირო იმ პერსონალისთვის, რომლისგანაც ელით, რომ ონლაინ რეჟიმში უნივერსიტეტის შენობის გარე ტერიტორიიდან შევლენ, რათა დაფარონ ასეთი წვდომის ხარჯები.

### დასკვნა:

როგორც მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ონლაინ და/ან შერეულ სწავლებაზე (შესაძლოა ტრადიციული პირისპირ სწავლების მოდელის პარალელურად დანერგვა) სტაბილური გადასვლის შესაძლო შედეგების დეტალური დამუშავება მოითხოვს დამატებით შრომას და განვითარებას.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ანგარიშში მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები იმ ტიპის სტრატეგიული/პოლიტიკური გარემოს შესახებ, როგორშიც შესაძლებელია ასეთი ცვლილებების დანერგვა-განვითარება და ასევე მითითებულია ის სფეროები, რომლებშიც, საერთაშორისო კოლეგებთან ერთად, საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორს შეუძლია დაიწყოს საკუთარი ექსპერტიზისა და ცოდნის გამოყენება, რათა განავითაროს სწავლებისა და სწავლის უზრუნველყოფისა და შეფასების სამომავლო მდგრადი მოდელი.